№ 145 ივლისი 6, კვირა 1886 ივლისი 6 კვირა, № 145

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თფილისში რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერიის“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 5 ივლისი

წინა წერილში ხომ ვნახეთ, რომ ბ-ნმა ყიფიანმა მის მიერ განზრახულ ბანკს თავად-აზნაურთა სახელი ჩამოართვა და გაუქარწყლა. ისიც ვნახეთ, რომ სახელთან სახრავიც გამოაცალა პირიდამ, რაკი ბანკის მონაწილედ გახადა არამც თუ დამგირავებელნი, რომელთ მამულების თავდებობა წესად შეიტანა პროექტში, არამედ აქციონერები და მფლობელნი გირავნობის ფურცლებისა. წინად კი, ესე იგი, 1867 წ. 6-ს მაისს არწმუნებდა საგუბერნიო კრებას, რომ ღმერთმა გიხსნათ აქციონერებისაგანაო, არამც და არამც აქციები არ შემოუშვათ ბანკშიაო და ურთიერთი თავდებობაც მამულებისა ბევრში საზიანოა საზოგადოებისათვისაო.[1]) ხოლო ამან სრულებითაც არ დააბრკოლა ბ-ნი ყიფიანი და ყველა იგი, რითაც აფთხობდა 1867 წელს თავად-აზნაურობას, მერე აიღო, გულ-უშიშრად შეიტანა თავის პროექტში, მითამ და აქ არაფერიაო და წინანდელის შიშის მაგიერ ასეთი ნუგეში მისცა თავად-აზნაურობას:

> Банкъ не встрѣтитъ въ завѣдыванію дѣлами своими столкновенія интересовъ, такъ какъ интересы всѣхъ участниковъ тождественны. (Часть 2-ая стр. 276.)

იქავ რამდენსამე სტრიქონ შემდეგ ახლა ამას ბძანებს:

> Такимъ образомъ въ составѣ общества (банковаго) является два разряда участниковъ, которые пользуются совершенно одинаковыми правами въ завѣдываніи дѣлами банка тогда, какъ интересы ихъ не тождественны.

ზევით „тождественны“, აქ კი „нетождественны“! მოდი და ნუ დაიჯერებთ, რომ ქვეყანას ღერძი გასტეხია!..

ამ გასაკვირველმა აზრის გარდაცვლამ სრულებითაც არ გააკვირვა თვით ბ-ნი ყიფიანი. პირიქით ამ გარდაცვლას ერთი კაი საბუთიც მოუნახა. აი ის საბუთი:

> Упорно держаться всего того, что однажды высказано, значило бы жертвовать ложному самолюбію средствами осуществленія общеполезной цѣли... (Объяснительная записка г-на Кипіани, ч. 2 ая, стр. 71-ая).

ამ საბუთით ბ-ნმა ყიფიანმა ორის-სამის თთვის წინად თქმული სულ უარ-ჰყო და ძირეულად შესცვალა, მერე როგორ? სულ წინააღმდეგად თავიდამ ბოლომდე. იგი იმავ წერილში ამბობს, რომ იძულებულ ვიყავით ზოგიერთ მეორე „ხარისხოვანს“ (второстепенные) საგნებში ჩემი პროექტი შემეცვალაო. აქციებისა და ურთიერთობის დაწესება ბანკის საქმეში „მეორე ხარისხოვან“ საგნად მიუღია ბ-ნს ყიფიანს და არა „პირველ ხარისხოვანად“!... ბევრს ამისთანა წაჯაქ-უკუჯაგობის მაგალითს კიდევ წარმოვადგენდით, მაგრამ ეს საკმარისია.

ეხლა გადვიდეთ იმაზედ თუ,—რა შეღავათს იძლეოდა გაჭირებულთათვის და ვალის ამღებთათვის ბ-ნი ყიფიანი? ჯერ იმას, რომ ვალის აღების მსურველს უნდა წარედგინა ბანკის სასარგებლოდ ერთხანად 2% ნასესხების ფულისა*). ეხლანდელი ჩვენი ბანკი კი სჯერდება 3/4% სოფლის მამულებზედ და 1%-ს ქალაქისაზედ. მეორე ისა, რომ თუ ვინმე დაგირავებულის მამულის დაყოფვას მოიწადინებდა, ანუ ნაწილის გაცემას ჩუქებით, თუ გასყიდვით, უნდა გადაეხადნა 2% ბანკის სასარგებლოდ მთელის მამულის ღირებულობის კვალობაზედ.[2]) ამ ახირებულს შეღავათს ეხლანდელი ბანკები არ იძლევიან, რადგანაც მაგისთანა უცნაური გარდასახადი წესად არა აქვთ მიღებული. მესამე: თუ დანიშნულს ვადაზედ მოვალე არ შეიტანს ფულს, ექვსს თთვეს აცლის ბანკი (ეხლანდელი კი ორ თთვეს) და ამაში ახდევინებს 1% თთვეში,[3]) როგორც ეხლანდელი ბანკი. მინამ ეს ექვსი თთვე გავა, ფულის არ შემტანს მოვალეს ნება აქვს (დიდი უფლება ჰქონია!...) შემოსატანში ან სხვა თავისუფალი მამული დაუგირავოს ბანკსა, ან მოძრავი რამ ქონება, სახელდობრ, ბანკის ბილეთები, აქციები, ობლიგაციები, ანუ თავდები წარუდგინოს ბანკსა. თუ ესენი ვერ მოახერხა და ექვსი თთვეც გავიდა, მაშინ ბანკი ჩამოართმევს მამულსა და თვით იბარებს დროებითად.[4]) ერთი წელიწადი რაკი გავა ბანკის მიერ ჩაბარების დღიდამ და მამულის შემოსავალი არ დაჰფარავს სრულად შემოსატანს ფულს, მამული უნდა გაიყიდოს (§ 222).

მერე თავნის მხდელ სარგებლისა და ბანკის ხარჯის დასაფარავის გარდა, მოვალეს უნდა გადეხადნა ნასესხს ფულზედ ჯერ 6%-დამ 8%-მდე და მერე, როცა შეიცვალა, 5%-დამ 8%-მდე.[5]) ეხლანდელი ბანკი ამაში ახდევინებს მარტო 6%-სა და მაშასადამე 8%-ის გადახდევინების შიშს აცილებულია დღევანდელი მოვალე ბანკისა.

ეს გახლავთ ყოველივე შეღავათი, რაც ბ-ნმა ყიფიანმა მაშინ შესაძლოდ დაინახა. ერთიერთმანეთს რომ შევადაროთ ეხლანდელის ბანკის წესდება და ბ-ნ ყიფიანისაგან განზრახული, დაინახავთ, რომ ეხლანდელი წესნი ბევრით საშეღავათონი არიან, ვიდრე მაშინდელნი. დღეს სესხის მსურველი ბანკის სასარგებლოდ იხდის სოფლის მამულზედ 3/4%-სა და ერთს პროცენტს ქალაქისაზედ ერთხანად, ბ-ნ ყიფიანის პროექტით კი ორს პროცენტსა ორსავე შემთხვევაში. დღეს გაყოფა დაგირავებულ მამულისა, ანუ ჩუქება და გაყიდვა ნაწილ ნაწილ შესაძლოა ყოველის ფულის გადუხდელად ბანკის სასარგებლოდ და მაშინ კი, ბ-ნ ყიფიანის პროექტით, 2% უნდა გადაეხადნა მთელის მამულის ღირებულობისა. თუ შეღავათია სადმე, სად უფრო შეღავათი? მარტო ერთით წინ არის შეღა-

---

[1] Не станетъ у меня, ბძანებდა ბ-ნი ყიფიანი მაშინ: ни умѣнія, ни желанія замаскировать то, что будетъ само собою выступать, изъ нихъ (т. е. „если всю реализуемую сумму разбить на акціи и собрать капиталъ посредствомъ этихъ акцій“)... въ перепективѣ будущности все-таки (придется) выдѣть неизбѣжность того факта, что по истеченіи даннаго періода времени, мы составители банка не будемъ уже имѣть на него никакихъ правъ, а на ту часть его капитала, которая образуется изъ выпуска акціи, явятся собственниками акціонеры... „Надобно устранить вовсе круговую поруку, такъ какъ она заключаетъ въ себѣ большое неудобство“. (Протоколъ губернскаго дворянскаго собранія, 6-го мая 1867 года стр. 21 и 22).

*) 105 § მესამის პროექტისა, 90 § მეხუთე პროექტისა.

[2] § 110 იმავე პროექტისა.

[3] § 214 ibid.

[4] § 215 ibid.

[5] Объяснительная записка 3 п. § 2; часть 2, стр. 72.

ფელეტონი

არაგვს.

დაწუხებულმა, არაგვო,
რო გნახე გავიხარეო,
სრულიად გამოვიცვალე,
წელშიაც ავიხარეო.

—

რა ლამაზაა, წყეულო,
შენთ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი,
გაათეთრებულსა ტალღასა
კლდეს რო წაუვლენ თქერანი!

—

შენ თვალს გარიდებ მაშინა,
მთებისკე მწადის ცქერანი,
უნდომლად მამინდებიან
ბედკრულს ბედკრულნი მღერანი.

—

გულიც იქ იწევს,—თვალიცა,
იქ რო მაღალი მთებია,
ვინც რომ გიყ-მაყი გაგზარდა
ვის ძუძუც პირში გდებია,—
იმათ კალთაზემც მოვკვდები,
მათ ლოდი გულსამც მდებია.

—

ზაფხულში აყვავდებიან
მკერდნიც-კი სალის კლდისანი,
ყვავილთ პირს ეკონებიან
ცვენა ნამცვრევნი ცისანი.

—

გაჭყუჩებია ნიავსა
ჯიხვი ყელ-ყურით ლამაზი,
აღარ ახსენებს ქვიშათა
კლდით კლდეზე მსტომი გავაზი.

—

ხან რომ ცა მაიღრუბლება,
ჩაბნელდებიან ხევები,
გაჩნდება მეხთა ტკრციალი,
ათრთოლდებიან ხეები,
კლდეებზედ დააკეცება
სვავთა და არწივთ ფრთეები.

—

თმებს უკუ-იყრის ნაკადი,
ცისაკ დაიწყებს ცქერასა,
შაჭყურებს გაოცებული
შავის ღრუბლების მღერასა.
რა ყურმა უნდა გაუძლოს
იმ მთების გულის მგერასა!?

—

ხშირად მოხუთქალს წვიმასა
სიპასა აქვის ღარები:
აქა-იქ გაიმტვრევიან
პირ-გაშაული ღვარები,

—

იზიდებიან შენკენა
ის გრძნობისაგან მთვრალები,
იმათ ველარა დაიჭერს
თუნდ რკინის დახვდეს კარები!

—

ახლა ავდარიც გადიარის
და მზეც გადივლის გორასა,
ნაწვეთ-ნაწვეთი ნისლები
ხევებში სდგამენ გორასა,

—

ვეღარა ჭმედვენ ბეჩავნი
მთებისად მზისას სროლასა,
მაგრამ ფიქრობენ ვაჟანი
სახვალიოდაც ბრძოლასა!

ვაჟა-ფშაველა

ქართველთა შორის

I

გოგოლის ფოსტისმეისტერი და მე.—სამი ბატონი, ანუ სამი ხარიხა.—ჩემი მეგობარი.—მისი ბასი ქართველებზე.—როდის არის ქართველი კარგი?—პოეტების გახშირება.—მათზე საუბარი.—ანდაზა აზრია „ხბოს-თავაზე“.—„ხბოს-თავობის“ გახშირება.—მაგალითები.

როცა ამ ფელეტონს ვიწყობდი, სწორედ გოგოლის ფოსტმეისტრის დღეში ჩავვარდი. მოგეხსენებათ, რომ ბატონი ფოსტმეისტერი დიდი მუშტარი გახლდათ სხვის ეპისტოლეების გახსნისა და ამ გზით სხვის საქმის გაგებისა. იგი მუდამ ყოყმობდა; ორში ერთი ჰქონდა მუდამ ასარჩევი: გავხსნა, თუ არ გავხსნაო? ეს ორი ეშმაკი მას აქედ-იქით ეწეოდნენ; ერთი მუდამ ჩასჩიჩინებდი: «ჰა, არამც და არამც არ გაბრიყვდე და არ გახსნაო; ძრიელ მძიმე საქმეა სხვის ეპისტოლის წაკითხვაო.» მეორე ეშმაკი სხვა კილოზე უმღერდა: «აი შე ლაჩარო, შე სულელო, შენა! გახსენ, რისა გეშინიან», და ბატონი ფოსტმეისტერი ხელის-კანკალით საჩქაროდ გადაჰგლეჯდა ეპისტოლის ბეჭედს და გული გულის ალაგას დაუდგებოდა.

სწორედ უნდა მოგახსენოთ, და მეც ამ დღეში ვარ. მეც ორი ეშმაკი არ მასვენებს, ამ ცის ამარა დღე სულ გვერდებს მაგლეჯენ. ერთი მეუბნება: „ბიჭო, რით ვერ იწვნიეო! ეხლა მაინც ნუ გაბრიყვდები; დაანებე ამ ოხერ ფელეტონისტობას თავი; აბა რა აიტაცეო. თუ კალმის წვერი კიდევ დაგისველებია მელანში, ვაი შენს თავსაო?“ ახა-ვაგლახთა! ღვთის წყრომას რომ იტყვიან, ეს არის-მეთქი, ვიფიქრე. ამ გაჭირვებაში რომ ვიყავ, მამიხოხმარიკდა მეორე და ჩამჩურჩლა: „მაგას სიბერისაგან ჭკუა ორთქლად ჰქცევია და გაჰპარვია; შენ მე მიგდე ყურიო; რისა გეშინიან; მე ცოცხალი გყვანდე, მე, თორემ ბუზსაც ვერავინ აგიფრენს. ჰა, მოჰკიდე ხელი კალამსა და მერე მე ვიცი: ბოლომდინ სულ რიხინ-რიხინით ჩავიყვანო. ეს იცოდე ჩემგან: ვისაც ჰოჭმანობა უყვარს, ცხოვრებაში იგი ბევრი ვერაფერი შეილია და ვერც არას გააკეთებსო.“ გადამიბირა ამ უკანასკნელმა, ავიღე კალამი და დავსწერე: „ქართველთა შორის.“ ასეთი წერტილი დავაყოლე ამ სათაურს თანა, რომ მე თვითონ მეოცა. დიაღ, ისე მეოცა ეს წერტილი, რომ კალამს წვერი ველარ მოვკიდე. ვატრიალე ხელში, ვატრიალე ეს უბედურს ვარსკვლავზე გაჩენილი კალამი. გაწყრა ღმერთი! არა მოდის-რა თავში; არამ გაიჭყაველა ისეთმა, რომ აზრის ნიშან-წყალი სდებოდა. „საიდამ დავიწყო, რაზე დავიწყო, რა ვაქო, რა გავკიცხო?“ ამისთანა აზრები მეროდნენ თავში, როგორც ავდრიან დღეს ცაზე ლეგა ღრუბლები ირევიან ხოლმე.

ღმერთო, რა მდოვრედ მიდის ჩვენი ცხოვრება! ერთი ჩემი კარგი მეგობარი, როცა ახალი გადმოსული იყო ჩრდილოეთიდამ, გაიძახოდა: უნდა ჩემს ქვეყანაში დავტრიალდე; ხალხს მრეწველობა დავაწყობინო; დავამართვინო წისქვილები, ვენახების უკეთესი მოვლა ვასწავლო და სხვა და სხვანიო. გავიდა ხანი და ჟამი. სად არის დანაპირევი?—«კაცო, რას აპირებ, ძილს რად მისცემიხარო; აბა ერთი დატრიალდი, ჩვენც დავინახოთ, რას გააკეთებო.» «დიდ-ბუნებიანს კაცებსაო,—გვიპასუხა,—დროებითად ძილი დააწვებათ ხოლმეო.“ მუდამ ჟამს ფახი-ფუხი დიდი გვესმის, მაგრამ ბოლოს თავს ჩაჰქინდვრენ და დიდ-ბუნებიანს ძილს მიეცემიან ხოლმე, თუ შეიძლება ასე თქმა.

⁂

ვათში, პირველ შეხედვით, ბ-ნ ყიფიანის პროექტი ეხლანდელის ბანკის წესდებაზედ. ეგ ის არის, რომ ექვსს თთვეს კიდევ აცლიდა ბ-ნ ყიფიანის პროექტი ფულის შემოტანასა პირველ ვადის შემდეგ და ეხლანდელი წესდება კი მარტო ორს თთვეს აცლის. ხოლო ეს განსხვავება თვალით მოსაჩვენებელია და საქმით თითქმის სულ ერთი და იგივეა. აი როგორ: ეხლანდელის წესდების ძალით, მაგალითებრ, პირველ იანვრის შემოსატანში ინიშნება მამული გასასყიდად ივნისში, ასე რომ თითქმის იმავ ექვსის თთვით ჰრჩება პატრონს მამული ხელში. ექვს თთვეს შემდეგ ბ-ნ ყიფიანის პროექტით მამული უნდა ჩამოერთვას პატრონსა და ბანკმა ჩაიბაროს და ერთის წლის შემდეგ ისევ გაჰყიდოს, თუ მამულმა შემოსატანი ფული არ ააყენა, ან თვითონ პატრონმა არ შემოიტანა. რა თქმა უნდა, რომ რაკი მამულს ღონე ექმნება დარჩენილის ფულის შემოტანისა, თვითონ პატრონი იქამდინ არ მიიყვანს საქმეს, რომ მამული ჩამოერთვას. საქმე იმაშია, რომ პატრონს მაშინ არ შემოაქვს შემოსატანი ფული, როცა მამული ხელს აღარ აძლევს. ამისთანა კაცისათვის, რაკი ექვს თთვეს უკან მამული ჩამოერთმევა გაყიდვით თუ დროებით, სულ ერთია—მაშინვე გაიყიდება მისი მამული, თუ ერთის წლის შემდეგ. აქ რაკი კაცს მამული გულიდამ ამოუღია, ეს გარემოება თვალად მოსაჩვენებელი შეღავათია და სხვა არაფერი.

ხოლო უველაზედ დიდი შეღავათი გაჭირვებულთათვის ბ-ნ ყიფიანის პროექტში იგია, რომ ვისაც «პაი», ანუ აქციები არა აქვს, იმას უსათუო ნება არა აქვს ბანკიდამ ფული ისესხოს გძელის ვადით[6]). სხვა რომ არ ვსთქვათ-რა, წარმოვიდგინოთ მარტო გაჭირვებული გლეხი, რომელთზედაც ბ-ნი ყიფიანი—თავის წერილში ასე გულ-მტკივნეულობს:

> Въ одну изъ главнѣйшихъ цѣлей банка входитъ дѣйствительное улучшеніе быта крестьянъ, (открытіемъ удобнаго кредита.) (Объяснительная записка, 76 страница).

მოდით და გლეხს უთხარით: ჯერ აქცია იყიდე და მერე ფულს გასესხებთო! მერე რა? ათ თუმნიანი აქცია. გლეხს, რასაკვირველია, ეს ათი თუმანი არ მოეძევებოდა და მაშინ შესაძლო იყო, ბანკიდამ ფულის სესხობაზედ ხანგრძლივის ვადით, უარი ეთქვათ და ამის მერმედ ამისთანა წესის დამდები მაინც გვარწმუნებს, რომ:

> Въ одну изъ главнѣйшихъ цѣлей банка входитъ дѣйствительное улучшеніе быта крестьянъ.

ორში ერთი: თუ „главнѣйш“-ია, რად გაუყრია ამისთანა ურდული ბანკის კარებისათვის გლეხის წინა და თუ „главнѣйш“-ი არ არის, რაღად გვარწმუნებენ «главнѣйш»-იაო?

ბ-ნ ყიფიანს ეს სრულიად დაჰვიწყებია და ამ სიტყვით ემდურება და უკიჟინებს კი ეხლანდელს ბანკს, რომელსაც ყოველთვის სესხის კარი დაუბრკოლებლივ ღია აქვს ყველასათვის და სხვათა შორის გლეხისათვისაც:

> Крестьянамъ не дано никакого кредита[7]).

ეს მტკნარი შეცდომაა, იმიტომრომ, ვიმეორებთ, არა ვითარი დაბრკოლება ამისათვის გლეხს არა აქვს ეხლანდელის ბანკისაგან და ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის ბანკში კი კაი მოზდილი ხარიხა იყო გადებული, როგორც წინად ვნახეთ. მოდით და აქ თავი ბოლოს მიუყენეთ და ბოლო თავსა!..

---

[6]) Часть 2-ая, страница 264.

[7]) წინადადება ბ-ნ ყიფიანისა გორის თავადაზნაურთ კრებაში წარდგენილი 1884 წ.

ახალი ამბავი

⁂ მილიციის პრაპორშჩიკს ასკარ ზეინალოვს თხოვნა შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ ნება მისცენ დილიჟნები გამართოს ერევნის მეიდნიდგან აბანოს კარებამდინ სასიარულოდ. ბ-ნს ზეინალოვს განზრახვა აქვს, როგორც მისის თხოვნიდგანა სჩანს, სამი დილიჟანი იქონიოს, თითო ექვსის კაცის ჩასაჯდომად. ყოველ დილიჟანს ორ-ორი ცხენი უნდა ებას და დილის 8 საათიდგან საღამოს 10 საათამდე უნდა დადიოდეს. კაცის თავზე მოსიარულეთ 6 კაპ. უნდა გადახდეთ ეს დილიჟნები იარმუკაზე ივლიან.

⁂ კავკასიის სამხედრო ოლქის გამგეობას გარდაუცია ქალაქისთვის ოთხი საუკეთესო ფიცრული გაუქმებულის 2-რე ტფილისის სამხედრო სამკურნალოსი. დანარჩენი 15 ფიცრული საჯარო ვაჭრობით გაუყიდნია 600 მანათად. ქალაქის გამგეობა ამ ჟამად თურმე პროექტს ადგენს და უნდა ტფილისში ამ ფიცრულებში ქალების სამკურნალო გამართოს. ამ სამკურნალოსთვის ხელ-მოწერით უკვე შეუგროვებიათ 10,000 მანათამდე. ამ პროექტს საბჭო შემოდგომაზე განიხილავს.

⁂ ანჩხატის უბნის მცხოვრებლები მეტად უჩივიან იქაურს სიბინძურეს, უსუფთაობასა და მოუვლელობას. ბევრს ალაგას შეხვდებით დამრჩვალს კატას, ან ძაღლს, რომელიც გახრწნილა და გარშემო ისეთს სუნსა ჰფენს, რომ ცხვირში ხელს გატაცებინებსო.

⁂ ტფილისში ამ ჟამად უწვიმო დღეები დადგა, დილიდამ საღამოს 5—6 სათამდე სიცხე აჭერს და ქუჩებში თითქმის მოსეირნეთ არ შეხვდებით. მზის ჩასვლის შემდეგ მშვენიერი ნიავი დაჰქრის და ქალაქის სასეირნო ბაღები და ბულვრები მოსიარულე ხალხით სავსეა.

⁂ 3 ივლისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, ვიღასაც გაუტეხნია ნადვორნი სოვეტნიკის ივანე ემელიანეს ძე კოლომეიცოვის სადგომი და გაუტანია ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვით, 7 ვერცხლის საჭმლის კოვზი და 4 ვერცხლის ჩაის კოვზი—სულ 100 მანათისა. დაკარგულის საპოვნელად და მომპარავთა აღმოსაჩენად ღონის-ძიებაა მიღებული. გამოძიება სწარმოებს.

⁂ სანდო პირისაგან შევიტყეთ, რომ ქუთაისის საზოგადო ქალაქის მმართველობას გაუთავებია ერთ დღიური აღწერილობა, მომხდარი 10 აპრილს 1885 წლისას

ამ აღწერილობით: რიცხვი მცხოვრებთა შეადგენს 23,644 სულს; მამრობითი სქესი, 15374, მდედრობითი 8,270 ს. უმრავლეს რიცხვს ამა ჯამიდან შეადგენს **სარწმუნოებით**: მართლმადიდებელნი 15,282 ს; სომეხი 1,111, ებრაელი 2,488 ს., კათოლიკე 1,209; **ერობით**. რუსი 2,113, ქართველი 15,832 ს., სომეხი 1,142, ებრაელი 600 ს., პოლიაკი 238, ბერძენი 178; ამათში დაცოლ-შვილებული 3,681 ს., დაქმარ-შვილებული 3,059, ქვრივი: მამა-კაცი 219, დედა-კაცი 830, უცოლ-შვილო 5,126, გაუთხოვარი (ქალწული) 1,695.

ქუთაისში არის სასწავლებელი 10, რომელთ შორის ვაჟებისა 7, ქალების 2, არეული, რომელშიაც სწავლობენ ქალები და ვაჟები ერთად, ორი. მოსწავლეთა რიცხვი: ვაჟთა 1,794 და ქალების 415, სულ 2,209.

ქუთაისში არის შენობა 3,132, რომელთაგან: ქვისა,—1,236, ხისაა - 1398, შერეული—394, წნული 104. ამშენობებში არის სადგომი (квартиръ) 4,026, რომელთ რიცხვში უდგმუროდ არის 407. მდგმურით ქირით 1,755, უქიროდ 1,980, წლიური ჯამი ქირისა 284,830 მანეთი.

ეკკლესია და სალოცავები ქუთაისში არის 19, რომლიდანაც: მართლმადიდებელთ სარწმუნოებისა 12, კათოლიკებისა 2, სომხებისა 2, ებრაელთა 3.

⁂ ზუგდიდიდგანა გვწერენ: ამ დღეებში ერთი სამმართველოში მოსამსახურე პირი ქ—ია საღამოთი გვიან დაბრუნდა სახლში. შეაღო თუ არა თავის ოთახის კარები, შენიშნა რომ ვიღაც არა მკითხე სტუმარი ფათურობს მის ოთახში და „რევიზიას“ უშვრება მისს ქონებას ბნელაში. სწორედ რომ მარჯვედ მოექცა ქ—ია თავის სტუმარს: მოიმწყვდია ოთახში და როდესაც ავაზაკმა ხანჯალი მოუღერა, უცბათ იძრო თვითონ ქ—იამ ხანჯალი, დასჭრა ქურდი და დაიჭირა

⁂ იქიდგანვე გვატყობინებენ: ჩვენსკენ მოსავალს ძალიან კაი პირი უჩანს, მხოლოდ სოფლებში სხვა-და-სხვა ავად-მყოფობა ძალიან გავრცელებულია, როგორც მაგალითად: წითელა,—ალაგ-ალაგ ყვავილიც კი არის, მუცელა, ყივანა-ხველა, და სხ. მაგრამ მადლობა ღმერთსა, ხალხი კარგადა ჰხდილობს ამ სნეულებას.

⁂ სურამიდგანა გვწერენ: თიბათვის 28-ს საღამოზე სურამის ერთკლასიან სასწავლებლის სასარგებლოდ ქალბატონის ეკატერინე ნიკოლაძის მოთავეობით იქმნა გამართული საცეკვაო საღამო მოწვეული ჰყვანდათ სამხედრო მუსიკა და დუდუკი. ხალხი ბევრი დაესწრო და საღამომაც რიგზე და მშვიდობიანად გაიარა. გასყიდულის ბილეთებიდგან სულ ფული შემოვიდა 100 მანათამდე; აქედგან დახარჯულ იქმნა 40 მანათამდე და ნაღდად დარჩენილი 60 მან. და 96 კაპეიკი გარდაეცა ზემოხსენებულის სკოლის მასწავლებელს ალექსანდრე ციმაკურიძესაო.

⁂ გაზ. „ახ. მიმოხ.“ შემდეგს დაუჯერებელს კაცის-მკვლელობასა სწერენ კახიდამ (ზაქათ. მაზრა): 25 ივნისს აქ ერთი შემაძრწუნებელი და საოცარი მკვლელობა მოხდა. 15 წლის ვაჟს ვაჭარის გასპარ მამიკონოვისას და 12 წლის აკულისელ მეწაღის შეგირდს რაღაც ჩხუბი მოუვიდათ თურმე კატის თაობაზედ და პირველმა

დიალ, გულს გიკლავს კაცსა ამისთანა უარარაობა, ამისთანა უსაგნობა! არა, არც კი ისეა, ღვთის წინაშე, საქმე, რომ ჩვენი ღარიბი ცხოვრება არ იძლეოდეს საყურადღებო ამბებს, რომელზედაც შეგიძლიან შეჩერდე, ილაპარაკო რამე, აილოდაილო და, თუ საჭიროა, გულის ბუხარიც იყარო... მაგრამ აქაც უმაგრამოდ ვერ მორჩება კაცი. აი სწორედ აქ ასეთს მაგარს მაგრამს დავეტაკე, რომ ჩინეთის კედლები ფას ამასთან. მე ანაზდეულად თვალ-წინ წარმომიდგა სამი ბატონი, ანუ სამი დაბრკოლება: ერთი თვით ღმერთი საბაოთა, რომლის განრისხებას და მეხს ვერიდები. მახლას, მეშინის, ვაი თუ წარამარა ლაპარაკით გავარისხო და გავიწყრომო-მეთქი; მეორე—საზოგადოება, ეს ჩვენი საწყალი ქართველი საზოგადოება, რომელსაც სულ მუდამს წამს წითელი კვერცხი უნდა ვუგორო, რომ კისერში ხელი არ წამავლოს; მესამე—ვინ გგონიათ მესამე? ღმერთო ჩემო, წარმოთქმაც მეძნელება... ეს მესამე ბატონი თვით მე გახლავართ, თქვენი მონა და მოსამსახურე, რომელმაც ამ შემთხვევაში სწორედ ლობე-მძვრალის ადგილი უნდა დაიჭირო. იმდენი უნდა ვიძვრინო ლობე-ძვრალა ჩიტივით და თავი მოვიკლა, რომ არც ღმერთი გავარისხო და გავინაწყრომო, არც საზოგადოებას მოვაკლო წითელი კვერცხი და მეც არ დავიწვა «ცეცხლითა უნივთოითა».

ეჰ, ამისთანა ყოფას,—უკაცრაული პასუხია,—უნდა შეაფურთხო და მიანებო თავი. ავენთე. ის-ის იყო, დავავლე საცოდავს ქაღალდს ყურში ხელი, თითქო ეს ყოფილიყოს დამნაშავე, და როგორც დავსწიე, უნდა ყური ამეხია,—მოისმა ჩემის კარების რაკუნი. მე წამოვხტი; სახე სირცხვილის ალმა ამიწვა; გულმა ბაგი ბუგი შექმნა, თითქო დიდს ავაზაკობაზე დავეჭირე ვისმესა. ოთახში შემოვიდა ჩემი მეგობარი, ჩემი მფარველი ანგელოზი, ჩემი მხსნელი გაჭირვებიდამ. მე მას ხმა არ გავეცი; ჩქარის ნაბიჯით დავიწყე ოთახში სიარული, რომ განმექარვებინა ბოლმა და ნაღველი.

⁂

— ბიჭო! ამ დილა ადრიან რა ნაღველი აგშლია... ჰა, ხმის ამოსაღებს ხომ არა თხოულობ ოსურ პატარძალივით! მოგცე? მითხრა ჩემმა მეგობარმა თომამ.

— თავი დამანებე! გუნებაზე არა ვარ.

— კაი საქმისათვის მიგიგნია: აი ეს ქაღალდი და ეს კალამი; გუნებაზეც ეგენი მოგიყვანენ.

— კიდეც მაგათ გადამრიეს და გული ამიმღვრიეს. ჩემმა ამხანაგმა დაჰხედა სტოლზე ქაღალდის ნაჭერს და წამოიძახა:

— ბიჭო—ბიჭო! ვაჰხ, ვაჰხ! რა სახელია და! „ქართველთა შორის!“ ეს „უცხოთა შორისო“, ეს „რუსთა შორისო“; არა, იმ სიშორეზე ხეტიალსა, აქ, ჩვენში ვიხეტიალოთ, და ჩვენი ამბავი ჩვენს თავსვე ვუამბოთ?

— საქმე ის არის, რომ „ხე ცნობადისა და კეთილისა“ ნაყოფს აღარ იღებს, გახმა, და თუ თითო-ოროლას გამოიბავს, ისიც—რა ჰქვიან?—ისიც... ჰო, რა უნდა მეთქვა...

— რას ლაპარაკობ, რა დროს ხეა; ცოტა პირ-შავი ხალხია ქვეყანაზე. შენ გგონია ჩვენში კი არ არიან ბერლინელი «გლეხი-ყლაპიები» და «მკვდარი-ყლაპიები?»

— აბა, მაშ, თომა, მიშველე რამე. მაგრამ ეხლავე უნდა გაგაფთხილო: რამდენიმე იმისთანა საგანია, რომელზედაც, თუ ლაპარაკს ჩამომიგდებ, შეგაყენებ მაშინვე. გაიგონე, ეხლავე გაფთხილებ-მეთქი.

— კაცო და, ისეთი რა საგნებია! უნდა ვიცოდე, თუ არა?

— არ ილაპარაკო იმათზე, რომლებიც ხმოვანის ასოებით იწყებიან; არც იმისთანა საგნებზე, რომლის სახელებიც თანახმოვანი ასოებით იწყებიან, მაგრამ წარმოთქმით კი ხმოვანებს მიაგვანან.

ჩემმა ამხანაგმა პირ-ჯვარი გადიწერა გაოცების ნიშნად და წარმოსთქვა:

— ღმერთო, შემიწყალე! რამ გადაგრია, კაცო!

— იქნება შენა გგონია, რომ აქ რამე ფარული აზრი მქონდეს. არ მომიკვდე! განა ქართველი საიდუმლოს დიდხანს დაიმარხავს? არას დროს! მიზეზი ისაა, რომ არ მესიამოვნება. ან საზოგადოებას რაო, რა ჩაადნება პირში. მათმა ბრწყინვალებამ ლუარსაბმა ერთი მართალი სთქვა თვისს ხანგრძლივს სიცოცხლეში: „დრო გამოიცვალაო, დრო!“ აი დრო რომ გამოიცვალა, მისდა შესაფერად წითელი კვერცხის გორვება უნდა იცოდე. მე წინააღმდეგი ვარ ყველა ნაირის განკიცხვისა და უთავბოლო კამათობისა.

— მაშ კარგი, მითხრა თომამ და ჩაახველა.

⁂

— როგორია ქართველი კაცი? დღეს რას წარმოადგენს? აი აქედამ დავიწყობ ლაპარაკს, სთქვა თომამ. ქართველი პურადი და გულ-უხვია; ამასთანავე ერთობ დაუდევარი, უზრუნველი, ამიტომაც ლამის ხელიდამ გაგვიფრინდეს მამულ-დედული; იგი დღერიალაა: საიდუმლოს ერთს წუთს არ შეინახავს; თუნდ ერთს ქართველს სცოდნია და თუნდ მთელს ქვეყანასა; მართლის თქმა პირში ეჯავრება. საზოგადოდ ეს ისეთი ხილია, რომ მისი ცქერა თვალებსა სწვავს ადამიანსა, ხოლო ქართველს ანაზდეულად აწირპლიანებს. რამდენიც ქართველია, იმდენი დასია, ერთი მეორეს არ უდგება; ერთს მეორის აზრი არ მოსწონს; მას ერთი აზრის ქვეშ ვერ მოუყრი თავსა. როგორც ვსთქვით, ცალ-ცალკე გაუშვერიათ ცხვირები. ასეა ყველგან. ყურები რომ გამოჭედილი გვაქვს, რომ აქა და აქ ასეთი და ასეთი «ინტელიგენციაო», სულ ტყუილი ფახი-ფუხია. თუ ცოტაოდენი გააკეთა რამე ინტელიგენტმა, თვალებს დაგწვავს, მოგაწყენს მასზე ლაპარაკით. თუ შეცოდება რამე უპოვნე და ძმურად ურჩიე, რომ ასეთი ქცევა სახელს უტეხს „ინტელიგენციასო“, სწორედ ბატივით გაიბერება, ჰორებით აგიკლებს; სადაც კი მიგდებ-მოგდება, შენზე ცუდის ლაპარაკის მეტს არას გააკეთებს. ვსთქვათ, რომელიმე საზოგადო საქმეში სისხლი ჩაგიღვრია, რამე თვალსაჩინო ღვაწლი მიგიძღვისთ; ხოლო მოხდა ისე, რომ შესაწყნარებელის მიზეზისა გამო, შემდეგში მონაწილეობა ვერ მიიღე,—ოო, ახლოს აღარ

მეორესა სცემა, როდესაც განშორდნენ ერთმანერთს და თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ, ნაცემმა ჯავრის ამოყრა მოიწადინა თურმე, დაავლო ხელი მამის ხანჯალს და წავიდა მცემელის სახლში. გამოიწვია გარეთ ვითომ სალაპარაკოდ, გამოიძრო თურმე დამალული ხანჯალი, მივარდა უბედურს ყმაწვილს და მუცელში და ხელებში დასჭრა. ბედ-კრული ყმაწვილი მესამე დღეს, ივნისის 28-ს, გარდაიცვალა.

ნაკვესი

დათა გურიელი მოდიოდა ტფილისს. ნიჩბისში შეისვენა. ამ დროს შემოესმა უცნაური უწმაწური ლანძღვა: ორი გლეხი ერთმანეთს ლანძღავდნენ. რადგან ამ გვარს უშვერს სიტყვებს უჩვევი იყო გურიელი, შესჩივლა იმ დროს იქ მოსულს მებატონეს. ამან, ვითომ გურიელის გულის მოსაგებად, წამოიძახა:

— აქა ვყოფილვიყავ, იმათ ასე-და-ასე ვუზამდი (აქ მკვახე სიტყვები დაჰხარჯა).

გურიელმა ყურებში თითები დაიცო და სთქვა:

— ამისაგან ველოდი ყოფა-ქცევას და ნეტავი უარესი არ გამეგონაო:

რ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ზუგდიდი, 1 ივლისს. აგერ თთვე ნახევარია, რაც დ. ზუგდიდში არის ჩამოსული ქუთაისიდგან ოლქის სასამართლოს განყოფილება (межевое отдѣленіе Кутаисскаго Округ. суда) ს. ობუჯის გამიჯნულ ადგილების გამოსაძიებლად, რისა გამოც მთელი ობუჯის მცხოვრებნი აქ არიან ჩამოსულნი. ვინ არ იცის, ამ დროს მუშა ხალხი სამეგრელოში რა დიდ გაჭირვებაშია, რადგანაც წლიურ საზრდოს მოყვანა ამ სამი-ოთხის თთვის მუშაობაზედ არის დამოკიდებული; თუ ახლა არ გათოხნა გლეხ-კაცმა და არ გამარგლა სიმინდი, მერე მშვიდობით, წლიურ მოსავალზედ ხელი უნდა აიღოს. თუმცა-და ასეთი გაჭირვებული მუშაობის დროა ეხლა, მაგრამ მაინც ვინც დაბარებულია სასამართლოში მეტი რა ჯანი აქვს, რომ ყოველივე სამუშაოს თავი დაანებოს და ზუგდიდში არ გაჩერდეს საქმის გათავებამდის. აი სწორედ ამ მიზეზის გამო ობუჯელები იძულებულნი არიან ამისთანა სიცხე პაპანაქებაში დასტოვონ თავიანთი ყოველისფრით შემკული და განსაკუთრებით საზაფხულოდ შეუდარებელი საცხოვრებელი სოფელი და ზუგდიდში იცხოვრონ, და თუ რამე აბადიათ, აქაურ სასტუმროსა და სამიკიტნოებში დასტოვონ

ამეებს თქვენი ჭირი წაუღია, კიდევ გაუძლებს კაცი, მაგრამ ზოგიერთის ვაჟბატონების წყალობით საქმე ჭიანურდება, დღევანდელი გარიგებული საქმე ხვალ იფუშება და ერთი კვირის გასათავებელი საქმე მთელს ხუთმეტს დღესა გრძელდება.

აი საქმე რაში გახლავთ: სოფელ ობუჯის მებატონენი არიან ამ სოფლის მკვიდრნი აზნაურნი შენგელიაები; ამათ გარდა მონაწილენი არიან: ობუჯისავე მცხოვრებნი გლეხნი: ფიფიები, მესხიები, კაკაჩიები, სონგულიებნი და სხვანი და სოფელ წალენჯიხის მცხოვრებნი თავადნი დადიანები. თუმცაღა სოფ. ობუჯის გამიჯვნამდის, ყველა ზემორე მოხსენებულნი მონაწილენი თავ-თავიანთ ადგილს უფლობდნენ, მაგრამ რაკი გამიჯვნა დაიწყო, მონაწილეებმაც დაუწყეს ერთმანეთს დავა და საჩივრის განცხადება. რომ ჰკითხოთ უსაფუძლოდ მოდავეს: კაცო, ღმერთი არ იცი, რას მემართლები? ეს ადგილი ხომ ჩემია, შენც ხომ ხარ დარწმუნებულიო? აი რას გეტყვის: კი, მარა შრომასა და ხარჯს მოგაყენებ, მარგებს დაგახარჯვინებ და ქე რა მენაღვლებაო.

დადიანების მხრით ახლამდის მხოლოდ ერთი ნესტორი იყო ჩამოსული, დანარჩენ მცირე წლოვან ობლებისა და ქვრივების მაგიერ მათი ვექილები იყვნენ. კიდეც ამ ვექილებმა გააფუჭეს საქმე. ვექილებად არიან დანიშნულნი, ანუ უკედ გსთქვათ, იყვნენ ისეთნი პირნი, რომლებსაც საქმისა იმდენი ეყურებათ, რამდენი მე ჩინეთურის ენისა. ნათქვამია:

კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველიაო.

მეგრელი

სოფ. თიანეთი, 24 თიბათვეს. დანაგსულს, თვალ-ნაგნებს რომ იტყვიან ქართველები, სწორედ თიანეთია. თიანეთში საზოგადო საქმეს, ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ეხეიროს. დაიწყობენ თიანელები საქმეს და ვერ მოასწრობენ დაამთავრონ, ხელშივე ჩაეფუშებათ. ხასიათის სისუსტეს, დაუდევრობას მარტო თიანურ „ინტელიგენცია"-ს ვერ ვუკიჟინებთ, რადგან ამ დაუდევნელობაზე ლაპარაკი ყოველ მხრიდამ ისმის. საკვირველია, რა ძალა აქვს ისეთი იმ „დაუდევნელობა"-ს, გრძნეული, ეშმაკი ან დევი ხომ არ არის, რომ კაცს არ ძალ-უძგას მისი მორევნა? როგორ ვიფიქროთ: ჩვენ ვეკუთვნით დაუდევნელობას, თუ დაუდევნელობა ჩვენ—გვეკუთვნის? გგონებ ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს მაშ რად გვეძნელება იმას ერთი ქართული თეძო ვკრათ და მოუგრიხოთ კისერი?! თელავის და გორის იმედი მაქვს, რომ თეძო და სარმა ჯერ არ დაგვიწყებიათ, თიანეთისა-კი რა მოგახსენოთ. მიკვირს, რა დაინახა საინტელიგენციო თიანურ ახალგაზდობაში „მგელა ხინკალჭამიაშვილმა", რომ შარშან „დროება"-ში „ინტელიგენციის" სახელი დაანათლა განცვიფრების მოხელეთ? სწორედ რომ კარგი მოწინავე, მშრომელი და მოღვაწე ახალგაზდობა ჰყოლია თიანეთს, თუ ყველა საქმე ისე მიჰყავთ, როგორც „საგლეხო ბანკის" საქმე წაუყვანიათ! ბანკის ხსენება ეწყინებათ თუმცა ზოგ-ზოგა ვაჟ-ბატონებს რადგან იმათ ყოველ-გვარი შაერთებული შრომა თვალში ეკალივით ეჩხირებათ და კრედიტორებად ჰსურთ ვაჭრები იყოლიონ, მაგრამ იმათ რა, ისინი ხომ „ივერია"-ს არა კითხულობენ. ამ წლის 16 თიბათვეს მოხდა ბანკის თაობაზე კრება, რომელმაც დაგვანახვა შემდეგი: ერთმა ბანკის ზედა-მხედველმა და გულშემატკივარმა გამოაცხადა, რომ ბანკიდგან ფული გატანილია და აღარავის შემოაქვსო. რით უშველოთ საქმესაო? ჰკითხა წევრებს. კრებამ ამაზედ უპასუხა: „რომ თავი დავანებოთ და არ გვიბარებდეთ, ბატონო, ისა სჯობიაო; ეგ ფული ხომ შეიჭამა და სამს იმოდენას კიდევ ზედ ვადებთ წასვლა-მოსვლაშიო". ეს ზედა-მხედველი ბანკის საქმის უხეიროდ წაყვანაში დამნაშავე არ არის, რადგან იმას ბანკი ფეხ-მოტეხილი დახვდა... არაფერი წესიერება ბანკის საქმის წარმოებაში არა ჰქონიათ: ვინ თავს-მჯდომარე ყოფილა, ვინ მმართველი, წევრები,— არაფერი გაიგება. მმართველი თითო კაცი ყოფილა, რომელსაც სრული უფლება ჰქონია მიეცა ფული რამდენიც ვისთვის ჰსურდა... ბანკიდამ ვალით აღებული და შემოსატანი ას და ოც თუმნობით ისეთს „მსუქანს" პირებზედ აღმოჩნდა, რომლებიც თვითონ უნდა ჰშველოდენ საზოგადო საქმის წარმატებას, სატირელი და სავალალო ისკი არ არის, თვითეულს წევრს 20—30 მანათი დაეკარგოს,—არამედ ისა, რომ განათლებულს, მცოდნე, განვითარებულს პირს ხალხის თვალში მნიშვნელობა და ძალა ეკარგება. ჭეშმარიტად გულ-მტკივნეულს, პატიოსანს კაცს რომ საქმის გაკეთება უნდოდეს, ვეღარ მოახერხებს, რადგან ხალხი ზურგს შეაქცევს: „შენც სკოლელი არა ხარო"?! მდაბიო ხალხი, ერთის ცუდის კაცის მაგალითით, მთელს მის წრეზე ადგენს აზრს.

დაარსდა თიანეთში დამზოგველი ამხანაგობა, რომელიც უწესოობისაგან, დაუდევნელობისაგან დაიღუპა; დაუდევნელობის გარდა „ინტელიგენცია" თითონვე სცარცვავდა დეპოს ნისიად საქონლის გამოტანით; ის ჩაუვარდა ხელში ერთს „მსუქანს" და იმან უგვანოდაც წაიყვანა, მართლა, საქმე. დაარსდა სამკითხველო, რომელმაც მარტო ერთი-ორი კვირა იცოცხლა, „ინტელიგენცია"-მ წიგნების, გაზეთების კითხვას დუქნებში დროს გატარება ამჯობინა. ეს სწორედ რომ შკვიახური საქციელია, წიგნი ისეთი რაღაც ჯანდაბაა, რომ კაცს საზოგადო მოღვაწეობის სურვილს უღვიძებს, რისგამოც „ინტელიგენტის" ჯიბე იზარალებს. რა ამათი საქმეა დეპოებზე, სამკითხველოზე, სკოლებზე ზრუნვა! ღმერთმა დალოცოს თიანური ინტელიგენტი მაშინ, როდესაც „რეჩს" ამბობს. „რეჩები" და „რეჩები", მერე და „რეჩები" ყველაფერზე რეჩებს ამბობენ ესენი.

თითქმის კალმასსაც არა სტოვებენ ისე, რომ ქება-დიდება არ მიუძღვნან. სადილზე თითო პირი ათ-ჯერ სიტყვას ამბობს და ნეტავი ერთს საქმეს მაინც აკეთებდეს. რაღაც ნაირი ორატორები ყოფილან თიანეთში: ერთმა „ინტელიგენტმა" რომ კარგი, ყველასაგან მოწონებული სიტყვა სთქვას, მეორე ორატორი ადგება და თავს აბეზრებს ხალხს „господа, слово"-ს ძახილით. მისცემენ თუ არა სიტყვის თქმის ნებას, დაიწყებს: „я вполнѣ согласенъ съ г-номъ Парпатадзе" და გაათავებს ამით სიტყვას. რეჩი არ არი, მაშ რა არი?! ვისმენ რა ამდენს «რეჩებს», თელავის გამგეობის ერთი „სტოროჟთაგანი" მაგონდება, რომელიც ყველას, ვინც-კი იმასთან ლაპარაკს დაიწყებდა, დაღისტნის აკლებაზე და შამილის დაჭერის ამბავს მოუყვებოდა და იძახოდა: «სულ შენ, ბიჭო, ლაპარაკო, ლაპარაკო ახლა მე უნდა ილაპარაკო». ნეტავი ის სტოროჟი მაინც იყოს თიანეთში, რომ უთხრას ორატორებს: «თქვენ რამტენი ლაპარაკო, ლაპარაკო, ლაპარაკო და საქმე არ გააკეთო!?!!.

—

თიანეთში ჯარიც მოვიდა საზაფხულოდ, რომელიც ჯერ-ჯერობით ს. საყარაულოში დაბანაკებული. იმედია, რომ ჩვენი მხარე წინ წაიწევს... აქაურმა მედუქნეებმა დათვები დაამრავლეს; ყველა დუქნის წინ თითქმის თითო დათვი აბია ჯაჭვით; ვნახოთ „მიშკები" როგორ ყაირათს გასწევენ პატრონების სასარგებლოდ!.

ვაჟა-ფშაველა

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ივლისის წიგნში „Русскій Архивъ"-ისა დაბეჭდილია, სტატია ბ. ელენევისა, რომელსაც როსტოვცევთან ერთად უმუშავნია გლეხთა

მიგიკარებენ. თეითონ რომ ჩხირი გვერდზე მისწიოს, ამაზე ყვირის, შენ კი ფეხთ-ქვეშ გქელავს. დღეს შენი მეგობრები არიან, ხვალ იმისი, ზეგ სხვისა. თუ „რეჩის" თქმა არ იცი, ხომ ახლოს ნუ გაუვლი. აბა, წითელი კვერცხი აქ გინდა, რომ ამ „ინტელიგენციამ" ჭორების ერცელებით და ათვალ-წუნებით კისერი არ მოგატეხინოს.

⁂

ქართველი კაცი მაშინ არის კარგი, როცა ბახუსს ემთხვევა და შეზარხოშდება. მაშინ «ინტელიგენციაც» საუცხოვო სანახავია. საკვირველია, ხალხების ხასიათები! ნემეცი როცა გადაჰკრავს, ზეციდამ, სადაც ის გონებით დადიოდა, ძირს ჩამოდის, ენა ეხსნება და მაშინ მოჰყვება შინაურს საქმეებზე ლაპარაკსაო, ასე გამიგონია. ჩვენი კაცი კი, ისედაც ბუნებით ალტაცებული, მთლად პოეზიას ეძლევა; მაღალ ფარდებში ადის; აბნელებს ჰაერს მაღალ ფრაზებიან სიტყვებით; მისი ფანტაზია დაჰფრინავს მუზებთან სამარესავით ცივს «ზეცების» სიღრმეში; სტოვებს «ქვე ქვეყანას» და მიდის «ზე ზეცასა». მუზებს მოაქვთ კეთილ-შეზავებული პოეზიის კონები და თავზედ ადგმენ ქართველსა. იგი მაშინ იწმინდება, ივსება მაღალის აზრებით: „ქვეყანა... ერი... სიცოცხლე... უკანასკნელის სულის ამოკვნესამდე"...

მაგრამ ბოლოს ქუქ! ეს აზრები საპნის ბუშტად კეთდება; მიდის მაღლა—მაღლა; იფრენს, იფრენს და ნაალაგევიც აღარა რჩება. ჰქრება ის დიადი ცეცხლი პოეზიისა, როგორც ჰიაკოკონის ცეცხლი კუდიანობა ოთხშაბათსა.

⁂

უნდა კი მოგახსენოთ, რომ მეტის მეტი საქმე დაგვემართა ამ ორს წელიწადში. იმდენი პოეტი გვყავს, ყმაწვილო, რომ ახედვა აღარ არის. ან გვაცხონებენ ამ ერთის წლის განმავლობაში, ან სულ დაგვღუპვენ. სწორედ ლანგ-თემურის შემოსევაა რაღა! ძილია, ღვიძილია, დარია, ავდარია; წვანან თუ დგანან; ართურმას გადადიან, თუ ქუდი დაელიანას თამაშობენ,— ერთის სიტყვით სულ მუზების შეწეობით მოქმედებენ და ლაპარაკობენ.

«ზენა არსი ჯერაობითა მოწყალითა თვალითა დასცქერის ყანებს და სიმინდებს», გვწერს ერთი.

„გიგზავნით რა ამ ჩემ მიერ აღწერილს ამბავსა, დაბეჭდეთ, რათა არა ჩაიცლის კვალ დაუმჩნეველად." და სხვ. და სხვ.

ზოგის სითამამე აი სადამდე მიდის: «ამ მოკლე ხანში უთუოდ დაბეჭდეთ ჩემ მიერ წარმოგზავნილი ამბავი და ეს ლექსი"... აქ ავტორს სდომებია, ასე დაეწერა: „თორემ"... მაგრამ განგებას გადურჩენივართ ამ სასტიკის «თორემისაგან» და „ამბავი და ეს ლექსი"-ს შემდეგ წერტილი დაუსვავს. ჩვენ აქ შორსა ვართ იმ აზრისაგან, ვითომც ამისთანა ლაპარაკით ჩვენის ახალგაზდა პოეტების გაკიცხვა და გაწიწმატება გვინდოდეს. არა; ჩვენი გულითადი სურვილია განვითარდნენ და შემდეგ ბატონი ბრძანდებიან. პოეტმა სთქვა,—«კაცი ის არისო,»

ვინც საქმით ქველით, გონებით, სწავლით,
მიახლოვდება მაღალს ღვთაებას;
ვინც სცდილობს მისწვდეს და ჭკუით მიხვდეს
საღმთო განგების იდუმალ ნებას,—
გამოიძიოს, გამოიკვლიოს
დიდი, უსაზღვრო ღვთისა ქმნილება,
და ჰპოვოს მასში, იმ ღვთის დიდს ღვაწლში,
მის საიდუმლო—ჭეშმარიტება;
და მის ძლიერით სიტყვით და ჰაზრით
ვით აზგარ-აზვრით მთლად შეიჭუროს,
და იგი სიტყვა, მღელავი ვით ზღვა,
მაღლა, უშიშრად ერთა ამხილოს.

როცა კაცი აღჭურვილია ცოდნით, მეცნიერებით, მაშინ მას აღარა გაუჰირდება-რა!

⁂

როცა სიტყვას ვათავებდი ჩვენს ახალ-გაზდა პოეტებზე, მაშინ ერთი ამბავი გამახსენდა: ქართლში სცხოვრებდა კაცი ვინმე და სახელი მისი აბრია. ხალხმა ამ აბრიას „ხზოს-თავა" დაარქვა. ალბად რამე მსგავსება ჰქონდა, თორემ ასე მწარედ არ იოხუნჯებდა ხალხი. ძე-ხორციელს არ შეეძლო აბრიასთან «ხზო» ეხსენებინა. ერთხელ მეზობელ მღვდელთან მისულა, წინ ბავშვი შეჰფეთებია.

— შვილო, შვილო! მამა შენს დაუძახე.

— შინ არ გახლავს, უპასუხა ბავშმა.

— მა რა დეპარტამენტშიაო.

— დეპარტამენტისა კი რა მოგახსენო და ხზორებში კი გახლავთო.

აბრია „ხზოს-თავას" გულზე ცეცხლი მოჰკიდებია და კინალამ დაურჩევია საბრალო ბავშვი. სწორედ ამ ბავშვის საქმე დამემართება, თუ არ ჩამოეეხსნები; მაგრამ სული მეწევის, გული მწყდება, რომ ამისთანა სულისა და გულის გამაწრიკოებელს გზას შესდგომია ჩვენი ახალი, მოზარდი თაობა და ამიტომაც ზემოდ პოეტის სიტყვებით მივმართე მათ დასამშვიდებლად.

⁂

ამ ჟამად მართლა და ძალიან გახშირდა „ხზოს-თაეობა". აწ განსვენებული აბრია „ხზოს-თავა" რომ წამოახედა საფლავიდამ, სიხარულით ფეხზე აღარ დადგებოდა, იმდენს ამხანაგებს ჰნახავდა. მაგალითად: „ხზოს-თავობს"-ის ბაყბაყ-მდევი რომელიც მუდამ ბაყბაყობს და თავისი ნათქვამი თეთრს აბაზად მიაჩნია; მე რასაც ვიტყვი, სწორეა; სხვა ყველანი „ბარბაროსები" ხართო. მე ვსთქვი: ცხინვალში ერთი კაცი მივიდა მეორესთან, დასთხლიშა თავში კეტი და გააგორაო. ვსთქვი და გათავდა. ასე უნდა იყოსო. ბატონო ბაყბაყ-მდევო, აგრე არ გახლდათ საქმეო, ეუბნებიან. მე რა ვიცი! ჩემი „ხზოს-თავი" ასე მაგონებსო.

„ხზოს-თავობენ" ისინიც, რომელნიც უბრალო მარტივმა შენიშვნამ „ივერიისამ" მეჯვრისხევში უსანეთობა დღეს მომხდარს აყალ-მაყალზე შეაფუცხუნა. დასტაკებიან მასწავლებელს; ესეც გულის კანკალით თავს მართლულობს, რომ შენიშვნა ჩემი არ არისო. საკვირველია, საიდამ გამოიყვანეს ზოგიერთა ყმაწვილებმა, რომ ისინი ვინმემ ახსენა. აზრადაც არა ვის მოსვლია მათი ხსენება, და წყრომა რად უნებებიათ?

ეს „ხზოს-თაობა" კიდევ ბევრსა სჭირს და მერეც გვექნება შემთხვევა ამაზე ლაპარაკისა. სასაცილოა, რომ ამასთანავე სამწუხაროც არ იყოს.

გუმცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლების საქმეების გამო. ეს სტატია შეეხება ამ რეფორმის პირველ დაწყებითს ხანას. თუმცა აქ ახალი არა არის-რა, მაგრამ შესანიშნავი იმითი, რომ დიდს და ერთად შეკრებილს მასალას იძლევა გლეხთა განთავისუფლების საქმეზე

> „არც ერთს რეფორმას იმპირატორის ალექსანდრესას არ გამოუწვევია იმდენი უთავბოლო ლაპარაკი, იმდენი ზღაპრები, რაც გლეხთა განთავისუფლების საქმემ გამოიწვია. ვის არ მოჰქონდა ამ საქმის გამო თავი ლაპარაკში, გაზეთებში, მეგობრებთან. ყველაზე ნაკლებს ლაპარეკობდნენ იმაზე, ვინც ნამდვილი მიზეზი იყო ხსენებულის საქმისა—ღვთივ განსვენებულს იმპერატორზე. მაგრამ უმისოდ კი არა გაკეთებულა-რა; სხვანი ყველანი განცხრომილად ისხდნენ თავიანთ ადგილებზე. ისინი მზად იყვნენ, თუ შემთხვევა მიეცემოდათ, უფრო უარესს, უმწვერვალეს ყოფაში ჩაეგდოთ გლეხთა განთავისუფლების საქმეო.

განსვენებულმა ხელმწიფემ, როდესაც იგი ჯერედ მემკვიდრედ ბრძანდებოდა, კარგა იცოდა ყოფა-ცხოვრება საბატონო გლეხებისა, ხოლო როდესაც სახელმწიფო ტახტზე აბძანდა, მაშინ უფრო გულით შეუდგა საქმეს. ჯერ ხელმწიფე იმპერატორი ხან ცხარედ მოსჭიდებდა საქმეს ხელს; ხან შეჩერდებოდა. საქმე ისეთი მძიმე იყო, რომ მისი შეჭიდება, უცბად დანგრევა საშიში და სახიფათო იყო. 1856 წელსა ხელმწიფე იმპერატორმა მოსკოვის თავად აზნაურების წინამძღოლთა წინაშე წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

> ხმა დადის, ვითომ მე მსურს გლეხთა განთავისუფლებაო. ეს ტყუილი ხმაა; ამისგამო ბევრი უწესოება მოხდა გლეხთა და ბატონთა შორისო. თქვენ შეგიძლიანთ ყველას გამოუცხადოთ, რომ უმართლო ხმებია. მე პეტერბურგში ესევე ვუთხარი სხვა წინამძღოლთაც. მე იმისი თქმა არ შემიძლიან ეხლა, ვითომ წინააღმდეგი ვიყო ამ საქმისა. ჩვენ ისეთს საუკუნეში ვცხოვრობთ, რომ უნდა თავის დროზე მოხდეს განთავისუფლება. მე ვფიქრობ, რომ თქვენც ჩემის აზრისანი ხართ, მაშასადამე უმჯობესი იქმნებოდა, რომ ეს საქმე ზემოდამ დაიწყოს და არა ქვემოდამ.—ამ სიტყვამ,—განაგრძობს ელენევი,—თვისის მოულოდნელობით გაოცა როგორც თავად-აზნაურნი, აგრეთვე მართებლობის უმაღლესნი პირნი, დიდი თანამდებობისა და ადგილების მქონენიო.

მალე შესცვალა ხელმწიფე იმპერატორმა მიმართულება; იგი პირდაპირ და გულადად შეუდგა რეფორმის შესრულებას. უმთავრესი თანაშემწე მისი ამ საქმეში დიდის მთავარის კონსტანტინე ნიკოლოზის-ძის გარდა იყო როსტოვცევი, რომელსაც დიდ-ხარისხიანნი კაცნი ორმოს უთხრიდნენ; ცდილობდნენ შეეძულებინათ ხელმწიფისათვის.

> აქ ისიც უნდა ითქვასო, რომ 1857 წლიდამ როსტოვცევის სიკვდილის დღემდინ თვითეულს მის მოძრაობას, თვითეულს მის ბიჯს ყურს ადევნებდნენ მტრები და სრულებით სხვა ნაირად ხსნიდნენ. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ეს დაუძინებელი მტრობა როსტოვცოვის მიმართ არ შეწყვეტილა მისი სიკვდილის შემდეგაც: ეს მტრობა გადაიტანეს მისს მეგობრებზე და დაახლოვებულს პირებზე: ჯერ თვით მე, ავტორს ამ სტატიისას, დამიწყეს დევნა, მერე როსტოვცოვის შვილებსაც-კი მოსვენებას არ აძლევდნენო.

⁂

გაზეთი „Биржевыя Вѣдомости“-ს მეთაურს წერილში იხსენიებს იმ რუსეთისთვის სახსოვარს დღეს, როდესაც დიდ-პეტრეს ახლად მოწყობილმა ჯარმა შვედების ძლიერი და უკედ მომზადებული ჯარი დაამარცხა პოლტავის ახლოს. გაზეთი იხსენიებს ამ დღეს, და ადარებს მაშინდელს დროს ეხლანდელ რუსეთის მდგომარეობას და ამბობს:

> ეხლანდელმა ჩვენმა მტრებმა პოლიტიკაში ლამის თავისი გაიტანონ, ბალკანიის ნახევარ-კუნძულის სლავიანების შესახებ.

ტყუილი იმედი აქვთ ჩვენს მტრებს...

ნუ დაივიწყებენ ჩვენი კეთილის-მოსურნე ევროპიელები სახელოვან ‹პოლტავის ომსა,› ამაყად ამბობს გაზეთი და შემდეგ განაგრძობს:

> უნდა მუდმივ ახსოვდეთ ევროპიელ დიპლომატებსა, რომ ისტორიის გადაკეთება იმათ ხელთ არ არის; ნუ დაივიწყებენ, რომ ჯან-მთელი და მძლავრი პოლიტიკური სხეული თავის დანიშნულებას აღასრულებს, რა ხრიკებითა და მანქანებითაც უნდა ხელი შეუშალონ ვითომ შორს-მჭვრეტელმა პოლიტიკებმა. ტყუილად ცდილობენ რუსეთის წინააღმდეგობას, ტყუილად ფიქრობენ, რომ ვითომ შესაძლოა რუსეთს წაერთოს ის, რაც მას სამართლიანად ეკუთვნის... არა, ამას ვერა გზით ვერ მოახერხებენ, თუნდ უფრო გულ-მშვიდად და ალუშფოთებლად მოქმედებდეს ჩვენი დიპლომატია... იქნება, განცვიფრებულს ევროპას რუსეთმა კიდევ აჩვენოს „პოლტავის სახელოვანი დღე,“ იქნება მართლ-მადიდებელმა რუსეთმა ხელმეორედ ანახვოს ევროპას ეს დღე, მხოლოდ პოლტავასთან კი არაო.—არა ეს მოხდება სტამბოლში და, ვინ იცის, შეიძლება თვით ვენაშიაცაო!..

„სტამბოლი“ კიდევ ჰო, და ეს „ვენა რაღაა.

⁂

ოდესას ესტუმრა საფრანგეთის გამოჩენილი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე პოლ-დერულედი. გაზეთ ‹Одесскій Листокъ› ის ერთს თანამშრომელს ლაპარაკი ჰქონია დერულედთან—ევროპიის სახელმწიფოებზე. აი დერულედის აზრი ევროპიის პოლიტიკურ წყობილობაზე:

> ჩემი პოლიტიკური იდეალი ძალიან მარტივიაო, უთქვამს დერულედს. ევროპაში მხოლოდ ორი სახელმწიფოა, რომელთაც მარტო მეგობრობა, ერთმანეთის პატივის-ცემა და ცივილიზაციის საზოგადო ინტერესები აერთებსო. ეს სახელმწიფოები—რუსეთი და საფრანგეთიაო. ეს სახელმწიფოები ერთმანეთზე დაშორებულნი არიან, ორივეს ევროპის ნაპირები უჭირავსო და შუაში წვრილი სახელმწიფოები უდევთო. გარდა ამისა, არც ერთს ამ სახელიწიფოს სიხარბე არა აქვს, და არ ცდილობს რომ უთუოდ ბევრი მიწა-წყალი შეეძინოთო. ამ სახით ჩემი პოლიტიკური იდეალი, ჩემი გულითადი სურვილი ამ საგნის შესახებ ეს არისო: რუსეთი და საფრანგეთი, რაც შეიძლება მძლავრნი და ღონივრები იყვნენ, პრუსია ისეთვე პატარა სახელმწიფოდ გარდიქცეს, როგორც გერმანიის შეერთების წინად იყოო.

დერულედი გამოჩენილი პოეტია და თუ ეს სიტყვები გაუმართლდა, მაშინ გამჭრიახი პოლიტიკიც იქნება!

უცხოეთი

სერბია. ბელგრადში გამოსულა წიგნაკი გამოჩენილის სახელმწიფო კაცისა რისტიჩისა ამ სათაურით: „ოლიგარხიის დაცემა სერბიაში 1856—58 წწ.“ ამ წიგნაკში, რომელმაც მთელის მკითხველის საზოგადოების ყურადღება მიიქცია, რისტიჩი ადარებს აღრინდელს და აწინდელს საქმეთა მდგომარეობას სერბიაში; ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ ოც-და-ათის წლის წინად კარაგიორგიევიჩი მხოლოდ იმიტომ განდევნეს ტახტიდამ, რომ იგი ავსტრიის პოლიტიკას ბრმა-ყრუდ ემორჩილებოდაო. რისტიჩი ამ თავისს წიგნაკსა ათავებს მკაცრის წინასწარმეტყველობით, რომ ამისთანა სვე-ბედი მოელის სერბიაშიო ყველა დასსა, ყველა სამინისტროსა.

ვენის გაზეთები ამბობენ, რომ მთავარმა ნიკოლოზმა მიიღო თავისთან სერბიის აგიტატორი ბელანოვიჩი და დიდხანს ილაპარაკა იმასთან სერბიის საქმეებზეო. ძნელია სთქვას კაცმაო, მართლა მთავარი ელაპარაკა ბელანოვიჩს, თუ არაო; მაგრამ ეს კია, რომ ვენის გაზეთებმა ათასი კილო გამოაბეს ამ საქმესაო.

ინგლისი. „Independace Belge“-ს დეპეშით სწერენ ლონდონიდამ შემდეგს ამბავს: ‹ჯონ ბრაიტს პასუხი მიუწერია გლადსტონისთვის მის მიერ მოწერილის ეპისტოლისა გამო; ამ ეპისტოლის პასუხად ჯონ ბრაიტი ამბობს, მე დიდად ვწუხვარო, გული მიკვნესის, რომ გლადსტონის წინააღმდეგ ვიბრძვიო. ეს ჩემთვის უფრო ძნელი ასატანია, ვინემ გლადსტონისათვის აუარებელ მოწინააღმოეგეთა კიცხვა და დევნაო. თუმცა მე ჩემს სიტყვებს, კანონ-პროექტის წინააღმდეგ წარმოთქმულს, უკან ვერ წავიღებო, მაგრამ ეს არ დამიშლის მუდამს ჟამს აღტაცებული ვიყო გლადსტონის დიდის ღირსებებითა და დაუფასებელის ღვაწლითა, რომელიც მას სამშობლოს წინაშე მიუძღვისო.

ინგლისის ზოგიერთა გაზეთები ამბობენ, რომ არ შეიძლება პორტოფრანკოს მოსპობამ ბათუმში რუსეთის მიერ არ იქონიოს გავლენა არჩევანებზეო. ამისგამოიგო რუსეთის მომხრეს გლადსტონს ძალიან ბევრნი ჩამოეცლებიანო, ასე გასინჯე ისინიც კი ჩამოეცლებიან, რომელნიც სულით და გულით რჩეობდნენ მის მომხრეობასაო. ეს კონსერვატორებისაგან არის გავრცელებული, რომ გლადსტონს საქმეში ხელი შეუშალონ. არჩევნების დროს რას არ მოჰკიდებენ ხოლმე ხელსა, დამრჩეალივით ხავსს ეკიდებიან. თორემ რა შუაშია აქ გლადსტონის რუსთ მომხრეობა. ვინ იცის, ამბობს გაზეთი „Новости“, მართლა კი რუსთ-მოყვარეა გლადსტონიო. იმას ეს არასფერში არ დაუმტკიცებია ჩვენთვისაო.

‹Pall Mall› გაზეთი ამბობს, რომ გლადსტონი შეიძლება თანამდებობაზე დარჩეს იმ შემთხვევაშიაც, თუ ვერ გაიმარჯვებსო, და ხელ-ახლად დაითხოვს პალატასაო. მაგრამ გაზეთის ასეთი აზრი ერთობ საოცარია და წინააღმდეგი ჩვეულებისა; თვით გლადსტონი რად იზავს ამასაო, როდესაც იცის, რომ ხალხის სამდურავს და კიცხვას საზღვარი აღარ ექმნებაო. იმასაც ამბობენ, რომ მართებლობის დასი და ლიბერალ-დისსენტერებისა შაერთდებიანო. ეს შაერთება სამინისტროს დიდს ძალას შესძენდა, მაგრამ გლადსტონს ამ შეერთების გამო ბევრის დათმობა მოუნდება და პარნელისტებს ჩამოიცლისო. ამ საოცარის სახელმწიფოს და ღრმად-მოხუცებულის კაცის ყოფა დღეს ძალიან გულ-საწყალეიაო.

დეპეშა

4 ივლისს

პეტერბურგი. გუშინ რიყეზე პეტროვის რკინეულობის ამბარში მოიტანეს 4 გზა რკინეულობა, რომელიც გაჭარის ეგოროვისაგან შაემონა; როცა ხსნიდნენ საქონელს, ცოლმა იფეთქა რკინეულობაში დებული გატენილი ყუმბარა; ნამტვრევებმა პოჰკლეს 4 ბავშვ, 2 დედაკაცი, 9 მამა-კაცი და 2 ცხენი. ისე ძლიერ იფეთქა, რომ დახლოცილების ტანის ნაგლეჯები და ყუმბარის ნამტვრევები გარშემო ქუჩებში იპოვეს; ამ სახლების ფანჯრებიც ჩაამტვრივა.

უმაღლესის ბრძანებითა გამოცხადებულ იქმნა წეს-წყობილობა საიმპერატორო გვარეულობის შესახებ და განსაზღვრული ხარისხი ნათესაობისა, ტიტულები, გერბები, სახარჯო და სამოქალაქო უფლებანი იმპერატორის გვარეულობის წევრების, და მოვალეობანი იმპერატორის წინაშე.

ლონდონი. აღმორჩეულ იქმნენ 313 კონსერვატორი, 74 დისიდენტი, 174 გლადსტონის მომხრენი და 82 პარნელელი.

სოფია. სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა, რომ 38 მილლიონი ფრანკი, რომელიც ჩვენ ვისესხეთო, დანიშნულია ათი—ათასი ჯარის კაცის შესათოფიარაღებლადაო.

ჩირპანში მართებლობის წინააღმდეგ იყო დიდი კრება.

პარიჟი. ომალის ჰერცოგის განდევნის გამო სენატში გაცხარებული ბაასი მოხდა. სამხედრო მინისტრისაგან მიღებულის საშუალებისა გამო ლარენტომ სთქვა, რომ საზიზღარი საქციელიაო ბულანჟემ გიუგო, რომ იგი ამ გვარს ბრალს ვერ დაიდებს და დაუმატა, რომ იგი შემდეგშიაც აღასრულებს რესპუბლიკის მინისტრის მოვალეობასაო. კრების შემდეგ ლარენტი ხმალში გამოითხოვა. სენატმა 147 ხმის უმეტესობით. წინააღმდეგ 78ს-ამოიწონა მმართებლობის მოქმედება. პალატის და სენატის კრებანი დაიშალა.

5 ივლისი

იამბურგი. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ გუშინ ცარსკოე სელოში წაბძანდა.

ლონდონი. აღმორჩეულ იქმნენ 390 მოწინააღმდეგე კანდიდატი და 268 მართებლობის მომხრენი.

პარიჟი. დღეს იყო დუელი დაბაჩებით ბულანჟესა და ლარენტის შორის.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

6 დღე კვირა. ღირსისა სისო დიდისა, ქალწ.—მოწ. ლუკიასი და სხვ. ფრანგ. დომინიკისა, ოსიასი და აგგეასი. სომეხ. პოვნა სამოსლისა წმ. ღვთის-მშობლისა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—56. ტფილისში მზე ამოდის 4—40, ჩადის 7—32; მთვარე ამოდის 8—56, ჩადის 6—31.

7 დღე ორშაბათი. ღირს. თომასი და აკაკისა, ქალწ.—მოწ. კირიაკიასი. ფრანგთა აპოლონიასი, კლავდიასი და პულხერიასი. სომეხ. წმ. კალისტრატესი და 49 მოწამეთა და სხვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—1. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31; მთვარე ამოდის 9—28, ჩადის 7—27.

გამოსადევი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5	კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½	
› › 2 ›	2	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½	›
› › 2—	3	›
› › 3 ›	2½	›
ჯვარის მამის პურის ღავაში		
1-ლის ხარისხისა . .	4½	›
მე-2 ხარისხისა . .	3¹/	›
მე-3 —	3	›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
‹ › 2	6	›
სუკი	14	›
ცხვრის ხორცი . . .	7	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდ-მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზიამ
არწრუნისეულს გალერეაში მიიღო ჩაი, რევოლვერები და კრავატები. ისყიდება ძალიან იაფად. (10—4)

დაიბეჭდა და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში მეთოდიური სახელმძღვანელო. სამშობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი

Дозволено цензурою Тифлисъ 5 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.